ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |


# ივერია

№ 191 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 191

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია"

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჴლირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საავენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში** **საგუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".



## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".
(40—13). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევასა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.
(24—14)

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია აცხადებს

**სცენის მოყვარულთა**

## საყურადღებოდ,

რომ ვისაც სურვილი აქვს სახალხო თეატრს ემსახუროს, მობძანდეს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (3—უ—3)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

**საჭიროა**

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასში; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი. 13 14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотноcти.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ვულიკოვნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოზოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ზეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274
(წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვის. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


## უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპრყობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფილნიანდისა, და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,—ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

აღვავლენთ-რა მადლობას უზენაესისადმი, რომელმაც სახლი ჩვენი აკურთხა და გვიბოძა ჩვენ პირმშო ძე, მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის წმ. ნათლობის სასიხარულო დღეს მივმართავთ ღვთის განგების მიერ ჩვენდამი რწმუნებულს რუსეთის ხალხს.

წელს ჩვენს ერს მძიმე განსაცდელი ეწვია, მაგრამ ამავე განსაცდელმა მთელს ქვეყანას დაანახვა შეუდრეკელის მამაცობისა და სამშობლოსადმი განუსაზღვრელის სიყვარულის დიდებული მაგალითები. ამისთანა დროს ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა დავეხმაროთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ და შევუმსუბუქოთ მათ უპირველესი საჭიროებანი იმ ღონისძიებათა დამოუკიდებლად, რომელიც სახელმწიფოს კეთილდღეობით მოსაწესრიგებლად აღნიშნული იყო 1903 წ. 26 თებერვლის მანიფესტში.

თავდაპირველად მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი საგლეხო და ზოგიერთ არა რუსთა მართვა-გამგეობის სათავეში მდგომნი დაწესებულებანი დღემდის ხმარობდნენ სასჯელად «როზგს». ეს სასჯელი ძველ დროთაგან იყო მიღებული ჩვენს კანონმდებლობაში, მაგრამ, ჩვენს უავგუსტოეს წინაპირთა ნებით, თან-და-თან ისპობოდა, როგორც საზოგადო სასჯელი. ეხლა, ჩვენის დაუვიწყარის პაპისა და მამის განზრახვათა აღსასრულებლად, საკეთილოდ ვსცანით ვბრძანოთ, რომ მოისპოს ეგ სასჯელი გლეხთა და არა-რუსთათვისაც. დეე, ამ გარემოებამ გააძლიეროს ხალხში კეთილი ზნე-ჩვეულებანი და ყოველ ადამიანის კანონიერ უფლებისადმი პატივის ცემა ჩაუნერგოს. ამასთან ერთად, საჭიროდ ვსთვლით მოისპოს ამიერიდან «როზგით» დასჯა ხმელეთისა და საზღვაო ჯარებშიაც. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ სასჯელის მოსპობა შეაძლებინებს ჯარებს მეტის პატივით დაიცვან თავიანთი სახელი და ამიტომაც დავამტკიცეთ ამის შესახებ შემუშავებული დადგენილებანი, რომელიც ამასთანავე ცხადდება.

შეგნებული გვაქვს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ცხოვრებაში სოფლის მცხოვრებთა ნივთიერს კეთილდღეობას და ამიტომ ჩვენის მეფობის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულის მზრუნველობით მოვეპყარით გარდასახადთა მოკრეფის წესრიგის გაუმჯობესების საქმეს. ამ განზრახვით, საფინანსო უწყების მიერ შემუშავებულ იქმნა განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომელმაც, გლეხთა საურთიერთო თავდებობის მოსპობასთან ერთად, უზრუნველ ჰყო გადასახადთა წესიერი შეგროვება და ამასთანავე მოსპო გადასახადთა შესაგროვებლად იმ დრომდე არსებული უსამართლო ღონის ძიებანი. ეხლა ჩვენ მოვისურვეთ სრულიად განვამტკიცოთ გარდასახადთა მოგროვების აწინდელი წეს-რიგი და ამიტომ გადავსწყვიტეთ, თუმცა ეს საზარელოა ხაზინისათვის, სრულიად ვაპატიოთ ხალხს დღემდე მასზე დარჩენილი გადასახადი «სანადელო» მიწებისა, საერობოსი და სხვა.

გვებრალება რა იმ აფიცერთა და ჯარის კაცთა დაობლებული შვილები, რომელთაც შორეულ აღმოსავლეთში სისხლით აღბეჭდეს რუსეთისადმი მხურვალე სიყვარული, ჩვენს წმინდა მოვალეობად

ვსთვლით, ყოველი ღონე ვიღონოთ ნივთიერად მათ უზრუნველ-ყოფისა და აღზრდისათვის. ამასთანავე, ჩვენ წინაპართა ალთქმისამებრ, განვიზრახეთ ამ დღესასწაულ დღეს მივანიჭოთ წყალობა ყველა იმათ, ვისაც ეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ. ამით დახმარების ხელს ვუწვდით იმათ, ვისაც, სიღარიბისა ან დროებით გაჭირვების გამო, დროზე ვერ შეუტანიათ გადასახადი, აგრეთვე იმათ, ვინც დაარღვია კანონი, მაგრამ სასჯელით უკვე მოინანია დანაშაული, ან და, სხვადა-სხვა მიზეზთა გამო, პატიების ღირსია. ამიტომ ყოვლად უმოწყალესად ვბრძანებთ:

I. 1) მოისპოს «როზგით» დასჯა სხვადა სხვა დანაშაულისა გამო სოფლელთა და არა რუსთათვის, აგრეთვე ყველა იმათთვის, რომელნიც განთავისუფლებულნი არ იყვნენ ამ სასჯელისაგან განსაკუთრებულ კანონების ძალით. ეს სასჯელი დამნაშავეთ შეეცვალოს სხვაგვარის დასჯით, რომელიც აღნიშნულია სათანადო კანონებში; 2) გაუქმდეს დადგენილებანი, აღნიშნული კანონთა კრებულის მე-XV ტომის, 1261 და 1377 მუხლებში, 1885 წლის სასჯელთა დებულებასა და აგრეთვე მე-XI ტომის მეორე ნაწილის 281 282 მუხლებში.

II. მიენიჭოს შემდეგი შეღავათი სხვადა-სხვა გარდასახადებში: 1) გამოირიცხოს ანგარიშებიდან 1904 წლის 1 იანვრამდის ყველა დარჩენილი გარდასახადი და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე არ შევსებული: ა) გამოსასყიდად სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადისა, რომელიც გლეხთა სანადელო მიწებზეა დაწესებული; ბ) საიჯარო სახაზინო და საკომლო გადასახადებისა; გ) გაუქმებულ სახაზინო გარდასახადებისა. ეპატიოს გლეხთა სანადელო ადგილებზე დაწესებული საადგილ-მამულო გარდასახადი იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არსებობს. (საერობო დაწესებულებათ ეს ფული სახელმწიფო ხაზინამ შეუვსოს, თანახმად 1904 წლის 10 მაისის კანონისა. 2) უმაღლესის სენატის ბრძანებით, 1902 წ. 11 მაისს დაწესებული დამატებითი გარდასახადი პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიის ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებებში—მოისპოს. 3) სრულიად ეპატიოს მემკვიდრის დაბადებამდე დარჩენილი გარდასახადი: ა) საიჯაროსი, რომელიც აძევს სახელმწიფო მიწებზე გადასახლებულთ; ბ) სახაზინო გადასახადებისა, რომელიც აძევს წინანდელ სოფლის საზოგადოებათ და ამ საზოგადოებებში ახლად გადმოსახლებულთ, თანახმად 1899 წ. გამოც. კანონ. კრებ. მე-XI ტომის, 726—733 მუხლებისა და 706 მუხლის დამატების მეორე შენიშვნისა. 4) ეპატიოს ყველა დარჩენილი საკომლო და საიჯარო გარდასახადი ჩვენის კაბინეტის უწყების ალტაის ოლქის მცხოვრებთ. 5) ეპატიოს ყველა დარჩენილი გარდასადი, 1904 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი, ჩვენის კაბინეტის ეულსა, უბინაოდროდა არა-დაბინავებულ რუსთ. 6) ეპატიოს საადგილ-მამულო იჯარის დარჩენილი ფული, მემკვიდრის დაბადების დღემდე შემდგარი, ყოფილ სამთა-მადნო გლეხთ ალტაისა და ნერჩინსკის ოლქებში. 7) ეპატიოს 1904 წ. 1 იანვრამდე დარჩენილი ფული სამრეწველო გარდასახადისა (კან. კრებ. მე-V ტომის, 366—559 მუხ.); არ ეპატიება მხოლოდ იმ სამრეწველო დაწესებულებათ, რომელნიც ვალდებულნი არიან თავიანთი ანგარიშები გამოაქვეყნონ. აგრეთვე კანონთა კრებულის მე-V ტომის 521 მუხლში აღნიშნულ სამრეწველო დაწესებულებათ ეპატიებათ სამრეწველო გარდასახადის დარჩენილი ფული, თუ იგი 50 მან. არ აღემატება; ხოლო თუ მეტია, 50 მან. გამოაკლდება. 8) გამოირიცხოს ანგარიშიდგან იმ გარდასახადის 1904 წლამდნ დარჩენილი ფული, რომელიც დაწესებულია ოქროს ქვაბებზე. 9) გამოირიცხოს ანგარიშიდგან მემკვიდრის დაბადების დღემდე დარჩენილი ფული იმ გარდასახადისა, რომელიც დაწესებულია ნავთსადგურებსა და გემებზე; თვითეულ შემთხვევაში უნდა ეპატიოს არა უმეტეს 600 მანეთისა. 10) ეპატიოს მემკვიდრის დაბადებამდე გადაუხდელი ფული ნავოსნობისა და გზატკეცილთა სახაზინო გარდასახადებისა, თვითეულ შემთხვევაში არა უმეტეს 600 მანეთისა.

III. ეპატიოს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე შესატანი ჯარიმა და გადასახადი, ჯერ გაუწერელი ან შეუვსებელი:

1) ყოველ-გვარი ჯარიმა, ხაზინაში შესატანი პირდაპირ გარდასახადისა (კან. კრებ. მე-V ტომ. 1 მუხლ., გამოც. 1903 წლისა), გარდა ამავე III მუხლის 2 პუნქტში მოხსენებულთა, აგრეთვე საბატონო ხარჯისა და ქონებათა უფასოდ გადაცემის თაობაზედ.

2) ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 300 მან. და რომელიც უნდა გარდაჰხდოდათ სამრეწველო გარდასახადთა წესების დარღვევის გამო (მუხ. 526—536 კან. კრებ. მე-V ტომ., გამ. 1903 წ.); ხოლო თუ აღნიშნულ თანხას აღემატება ჯარიმა, მაშინ შემცირდეს 600 მან. თითოეული.

3) ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 600 მანეთს და რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ხსენებულ სამრეწველო წესების 153—155 მუხლთა დარღვევის გამო უნდა გარდაჰხდოდათ სამთა-მადნო ქარხნებისა და სხვა სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთ, აგრეთვე ოროქლის ქვაბებზედ დადგენილ გარდასახადთა (უმაღლესად დამტკიცებული 1894 წ. 14 მარტს) შეუტანელობის გამო დაჯარიმებულ იქმნენ; ხოლო თუ ჯარიმა აღნიშნულ ნორმაზედ მეტია, მაშინ შემცირდეს 600 მანეთამდე.

(შემდეგი იქნება)

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურთან. — პატარა იაპონია. — რუსის კრეისერები სანეიტრალო ზღვებზე.—გენერალ ოქუს თავგამართლება.—მექ.თუე.

ჩიფუდგან „დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ პორტ-არტურის ამბავს. აღმოსავლეთისკენ, დაგუშანიდგან სამგლო მთამდე, მაღლობები იაპონელებს უჭირავთ. იქ იაპონელებმა 300 დიდი ზარბაზანი დადგეს, საბარო არტილერიის გარდა. მათ შორის 10 მსწრაფლ-მსროლელი და 6-დიუიმიანი ზარბაზანია, რომლებსაც მეზღვაურები ადგანან. ამას გარდა, იაპონელებს ციხის სანგრევი ზარბაზნებიც აქვთ. რუსების მხრივ 100 პატარა მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი განუწყვეტლივ გრიალებს. დასავლეთისკენ იაპონელებმა იტშანის ფორტი აიღეს. მის წინ მოედანია გადაშლილი, მაგრამ იაპონელები ამ მხრივ მისვლას ვერ ჰბედავენ, რადგან სანგარების აფეთქებისა ეშინიანთ. იქიდგან ყუმბარები აღმოსავლეთის სიმაგრეებამდე მიდის, ასე რომ აღმოსავლეთის მხარე ორ ცეცხლს შუაა. მტრედის ნავთსადგური იაპონელების ხელთ არის, ხოლო ლიაოტეშანი ისევ რუსებს უჭირავთ. ჩრდილოეთისკენ იაპონელებმა პალიჯუანი ჯერ ვერ დაიჭირეს; იაპონელების მოწინავე რაზმმა რამდენჯერმე შეარღვია გადაჯაჭვული ფორტები, მაგრამ ჯერ ფეხი ვერ მოიკიდა.

იაპონელების ჯაშუშები რამდენჯერმე ეცადნენ, გადაეჭრათ პორტ-არტურში ელექტრონის მავთულები, რომელიც სანგრებისკენ არის გაყვანილი.

იაპონელები აღმოსავლეთიდგან ვერ მოალენ ციხესთან, ვიდრე ფორტები არ დაემხობა. იტშანის ფორტის დაჭერით იაპონელებს იმედი მიეცათ, რომ ამ მხრივ მივიტანთ იერიშს პორტ-არტურზედაო. რუსები ყოველ ფეხის დადგმა მიწას თავგანწირულად იცავენ. (რ. ვ.).

—

იაპონიის კუნძულები, ფორმოზას გარდა, 27,000 ოთხ-კუთხ მილით მეტია ინგლისის კუნძულებზე. ზედ დასახლებულია 42 მილიონი სული, ე. ი. 6 მილიონით საფრანგეთის მცხოვრებლებზე მეტი და 3 მილიონით ინგლისისაზედ. მაშ ამოდენა მოსავლიან და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას «პატარას» რად უწოდებენ?

სამხედრო ძალა ინგლისისას ბევრით აღემატებაო,—ამბობს საკვირაო გაზეთი «სპექტატორი».—ფლოტითაც კი საფრანგეთსა და გერმანიას არ დაუვარდებაო. ინგლისელებმა 1900 წელს 200,000 მეომარი გაჰგზავნეს სამხრეთ-აფრიკაში და ეს მეტად დიდ საქმედ მიაჩნდათ. იაპონელებმა კი კვანტუნის ნახევარ-კუნძულსა და მანჯურიაში 400,000 მეომარი გადაიყვანეს, ე. ი. სწორედ იმოდენა ლაშქარი, რაც საფრანგეთსა ჰყავდა 1870 წელს გერმანელთა წინააღმდეგ.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ რიგიანად არ ვიცნობდით და არ ვაფასებდით პატარა ტანის ხალხს. უეჭველია, რომ ეს არ ცოდნაა მიზეზი რუსეთის გაუმარჯვებლობისა.

გაზეთსა ჰგონია, რომ ვითომ ბოლოს მაინც რუსეთი აჯობებს იაპონიასაო.

უმთავრესი ნაკლი იაპონელთა ჯარისა აფიცრების სიცოტავეა. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იმისთანა ნასწავლ-განათლებულ ქვეყანაში, როგორიც დღეს იაპონიაა, ომი თავის-თავად სარდლებსაც გააჩენს. დაბალ ჯარის კაცთაგანაც კი არამც თუ ჩინებული მეომრები და აფიცრები, არამედ სარდლებიც გამოდიან, ასე რომ აფიცერთა სიმცირე ამ ხანად გასაზვიადებელი არ არის და სანუგეშოდ არავინ არ უნდა გაიხადოს (ნ. ვ.).

—

სამხრეთ-აფრიკის ნაპირს რუსის სამხედრო გემი ენახათ. ამ ამბავმა ინგლისი ძალიან ააშფოთა. ვერ გაიგეს, თავისუფალ ფლოტის გემთაგანი იყო, თუ ის ახალი კრეისერი, რომელიც რუსეთმა გერმანიისაგან იყიდა. შემდეგ კიდევ მოვიდა ამბავი, დურბანთან რუსის კრეისერმა გემი «კომედიენი» გააჩერაო; მაინც ვერ გაიგეს გემის სახელი. არა ჰგონიათ, რომ ეს გემი «სმოლენსკი» იყოს, რომლის მოქმედებამაც დიდი ალიაქოთი ასტეხა. რუსის მთავრობამ განაცხადა, რომ «სმოლენსკი» და საერთოდ თავისუფალ ფლოტის კრეისერები გემებს აღარ გააჩერებენ და არ გაჩხრიკავენო. ის კი არა, თუ დურბანთან რუსის კრეისერმა თავისი არ დაიშალა. ჰფიქრობენ, თუ დურბანთან «სმოლენსკი» იყო, ეტყობა, მთავრობის ბრძანება ჯერ არ მისვლიაო. ზოგი გაზეთი ამბობს, ეს ამბავი დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს და იქნება საქმე გამწვავდეს კიდეცო. (პ. ვ.).

—

იმ მითქმა-მოთქმის გამო, რომ იაპონელები ომში მოკლულ რუსის ჯარის კაცებს ასახიჩრებენ და დაჭრილებს ჰკლავენ, ოფიციალური პასუხი გამოიწვია იაპონელთა სარდლის ოქუს მხრივ, რომელიც აცხადებს:

იაპონიის ჯარს ისეთ ბრალსა სდებენ, რომელიც ნამდვილ ფაქტებს ეწინააღმდეგება და იმისთვის მოუგონია ჩვენს მოპირდაპირეს, რომ თავისი სისასტიკე დაჰფაროს. თვით რუსები 15 ივნისის ბრძოლის დროს ბარბაროსულად მოეპყრნენ ჩვენს დაჭრილ და მოკლულ ჯარის კაცებს. ჩვენის მხრივ არც ერთი ამისთანა შემთხვევა არ ყოფილა. ჩვენ ყოველის ღონისძიებითა ვცდილობთ, რომ დაჭრილებს რიგიანად მოვუაროთ და ბევრი მათგანი ცრემლით მადლობასაც გვიხდიან. ჩვენ დიდის მეცადინეობით ვათვალიერებთ დაჭრილებს, მოკლულებს კი ექიმები ამოწმებენ და ისე მარხავენ ისეთის პატივის ცემით, რაც ჯარის კაცს შეჰფერის.

მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომ რუსები ბარბაროსულად იქცევიან.

15 ივლისს ჩინჩანთან ოთხს კაცს რუსები შემოერტყნენ და შეიპყრეს. ჩვენი კაცები დახოცეს, ხიშტებით დაჰხვრიტეს, თვალი დასთხარეს და სრულიად გააშიშვლეს.

27 ივლისს ეფრეიტორი კობაიამა მოჰკლეს. მისი გვამი შემდეგ ვიპოვეთ საშინლად დასახიჩრებული.

მხედარი იოტო 15 მაისს ცხენიდგან ჩამოვარდა და, მ-ერს რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა, ყელი გამოიღადრა. ის ჯერ ისევ ცოცხალი იყო, რომ ყაზახებმა თავი გაუპეს.

«ადრე თუ გვიან, სიმართლე თავს იჩენსო,—ამბობს გაზეთი «ნოვოსტი»,—და გენერალი ოქუ თავის თანამემამულეებსაც ველარ მოატყუებსო».

«დეილი ნიუსის» კორესპონდენტი ერთის ყაზახის აფიცრის ნაამბობს იუწყება, რომელიც რკინის გზის დამცველ რაზმში ყოფილა:

ერთმა იაპონელმა, მანჯურიელად ჩაცმულმა, სამსა თუ ოთხს ადგილას გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი. ეჭვი რომ არავის აელო და იმისი ვინაობა არ შეეტყო, ქათმებსა ჰყიდდა მოედნებზე. ქათმებს რომ გაჰყიდდა, შინ საბარგო მატარებლით ბრუნდებოდა, ხოლო გზაზედ შეუმჩნევლად ჰხტებოდა და თავის განზრახვას ასრულებდა. მესამედ რომ გზა უნდა აეფეთქებინა, ყაზახთა რაზმმა წაასწრო, მაგრამ როგორღაც ხელიდგან გაუსხლტა და ტყეში მიიმალა. ამ რაზმის აფიცერი გამოცდილი კაცი იყო და აზიელების ეშმაკობა იცოდა. იმან იფიქრა, იაპონელი სწორედ იმავ ადგილს მოვა დინამიტით, სადაც სურვილი ვერ აისრულაო.

— მე რომ იაპონელი ვიყო,—სთქვა აფიცერმა,—ასე ვიფიქრებდი: ყველგან გამიფრთხილდებიან, გარდა იმ ადგილისა, სადაც მომასწრესო, იქ აღარ მიმელოდებიანო.

აფიცრის აზრი გამართლდა. მეორე ღამესვე იაპონელი იმავ ადგილს გაჩნდა და ყაზახებს ჩაუვარდა ხელში.

— მერე, რა უყავით იმ იაპონელს?

— რაო?—სთქვა აფიცერმა და თავმამწონედ ულვაშზე ხელი გადაისვა,—ის ყოჩაღი იყო, მამაცი, მოკვდა, გვამი დავწვით... (პ. ვ.).

# ტფილისი

*** საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ მისწერა სამაზრო და საქალაქო-სასანიტარო კომისიებს ტფ. გუბერნიაში, რაც შეიძლება, მეტის გულსმოდგინებით იქმნას დასუფთავებული დაბა-სოფლები; ამასთანავე, სამაზრო-სასანიტარო კომისიათა თავმჯდომარეთ დაეგზავნათ ხოლერის შესახებ დარიგების ფურცლები სოფლის მცხოვრებთათვის უფასოდ დასარიგებლად. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარმა ექიმმაც თავის მხრით განკარგულება მოახდინა, რომ თვალ-ყური ადევნონ ბაქოდგან მომავალ მგზავრთ; ამ აზრით, სამგზავრო მატარებლებს მუდამ თან ეხლება ფერშალ-კონდუქტორები. რკინის გზის სამკურნალოში უკვე განსაკუთრებული ადგილი მოაწყვეს საეჭვო ავადმყოფთათვის. ყველა ეს განკარგულებანი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მერვში (კასპიის იქეთა მხარეს) ხოლერა გაჩნდა.

*** გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერისა, საგუბერნიო ტეხნიკოსებისა და ცეცხლის მქრობელთა რაზმის უფროსისაგან შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა ქართული თეატრი.

*** ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის ყველა მოსამსახურეთ შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, იზრუნოს ამ უკანასკნელმა, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ დაუთმოს შეღავათიანის პირობით ტრამვაის ბილეთები, გარდა 150 უფასო ბილეთისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ბილეთებს ძალა ჰქონდეს ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათამდეო.

*** კავკასიის სამკურნალო განყოფილებამ შეატყობინა სამაზრო ექიმებს, რადგანაც ბრმათა სამზრუნველომ ამ ჟამად გააფართოვა თვისი სამკურნალო, სოფლებში თუ სადმე იყვნენ უმწეო ბრმანი, გამოჰგზავნეთ ტფილისში ხსენებულს სამკურნალოშიო.

*** დღეს, 19 აგვისტოს, მოქალაქეთა გამგეობის სასხდომში კრება ექმნება მოქალაქეთა რწმუნებულთ სხვა და სხვა საქმეთა განსახილველად. კრებაზედ, სხვათა შორის, უნდა აირჩიონ გარდასახადთა მომკრებნი.

*** 13 აგვისტოს ტფილისის კადეტთა კორპუსში 13 მოსწავლეთაგან მხოლოდ ორს დაუჭერია ეგზამენი. ყველა ესენი თავად-აზნაურთა შვილები ყოფილან და უმეტესობა სხვა და სხვა კადეტთა სასწავლებლებიდგანაა. 16 აგვისტოს კი ვერც ერთს ვერ დაუჭერია ეგზამენი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქონლის მატარებლის მრავალი კონდუქტორი უსაქმოდ დარჩა, რადგან ამ მატარებლებშიაც ძველ ტორმოზის ნაცვლად ვესტინჰაუზის ტორმოზები გამართეს და თითო მატარებელზედ ერთის უფროსისა და ორ-სამ კონდუქტორის მეტი არ არის საჭირო.

*** ბრმათა სამზრუნველოს საბჭომ დაადგინა, ნება მიეცეთ ბრმათა სამზრუნველოს სამკურნალოში იმეცადინეონ იმ ექიმებმა, რომელთაც სურთ გაეცნონ თვალის ავადმყოფობასაო.

*** ტფილ. ქალაქის გამგეობამ ქალაქის საყასბოს გამგედ დაჰნიშნა ბეითალი ნ. ა. კანცელმახერი.

*** მომავალ კვირაში მოხდება კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კომიტეტისა ხოლერის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომიტეტმა უნდა გადასწყვიტოს, რა დახმარება გაუწიოს ხალხს, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა.

*** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გადუხადონ ანგარიში იმ 11,991 მან. 28 კაპ., რომელიც, როგორც დარჩენილი გადასახადი, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ უნდა გადაიხადოს.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. ამიერიდგან ცხვრის ხორცი გაიყიდება 12 კაპ., ძროხის ხორცი პირველ ხარისხისა—10 კაპ., მეორე ხარისხისა—9 კაპ. და მესამე ხარისხის—6 კ.

# საქართველოს ამბები

ფოთის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, მომავალს ფოთის პროგიმნაზიას დაერქვას მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსის სახელი.

◆ ქუთაისის დედათა პროგიმნაზიაში მოსამზადებელსა, პირველსა და მეორე კლასებში მისაღები ეგზემენები დაიწყება 26 აგვისტოდგან.

◆ ხონის დედათა პროგიმნაზიაში მისაღები ეგზამენები ყველა კლასებში დაიწყება ამ წლის 20 აგვისტოდგან და გასტანს თვის დამლევამდე. თხოვნები მიიღება პროგიმნაზიის უფროსის სახელზედ ყოველ დღე.

◆ ფოთში 14 აგვისტოს საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა. რამდენიმე შენობა დაზიანებულა.

დ. თიანეთი. როგორც მოგეხსენებათ, თიანეთს მაღლობი ადგილი უჭირავს და ამიტომ, აქაურების აზრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ აქეთ ხორველა, ან სხვა რაიმე გადამდები სენი ესტუმროს. ამიტომ აქაური ხორცით მოვაჭრენი საქონელს თავიანთ ეზოებში ხოცავენ. ამასწინად ბ-ნ მ—ძემ თავის ეზოში დაჰკლა ძროხა; როდესაც თიანეთის მამასახლისმა ჰკითხა, რატომ დანიშნულ ადგილას არ დაჰკალი, მ—ძემ ასე უპასუხა: «ძროხა ძალიან გამდხარი იყო, სისხლი არც კი გამოუვიდა და გთხოვ მაპატიო». მართალია, ამორჩეულია სასანიტარო კომისია, ანუ ჩვენებურად «სანატრელი ჩლუნები», მაგრამ ამაოდ.

არ იქმნა და არ მოისპო ჩვენს მხარეს უსვინიდისობა. ეს ნაკლი ძალიან უყურადღებოდ არის დარჩენილი და ამიტომ უსვინიდისოებმაც გაიმარჯვეს. ამ ცოტა ხანში ჩვენსკენ შემდეგი ამბები მოჰხდა: სოფ. ზემო-თიანეთში მცხოვრები გ. წასულა ახმეტაში სამუშაოდ. ცოლს რა გაუგულებია ქმარი, დაუწყია როსკიპობა. როცა გ. სახლში დაბრუნებულა, შინ ერთი თუმანი მოუტანია ნამუშავარი. ღამე მისი ცოლი ამდგარა, მოუპარნია ეს ფული და შემდეგ ტფილისში წასვლა მოესურვებინა; ქმარს გაეგო ცოლის განზრახვა და მწოლიარესათვის ორჯერ დაერტყა ცული. გამოძიება სწარმოებს.

იქმნება თხუთმეტი წელი, რაც თიანეთში სცხოვრობს ი., რომელსაც ჰყავს ერთი სატრფო ს. დღემდის ტკბილად ატარებდნენ დროს. ი—ს მოსწყინდა ერთ სატრფოსთან ცხოვრება, წავიდა თელავში და შეირთო ცოლი. ს—ს რა გაუგია, უკან დასდევნებია და სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე-დედოფალი ეკკლესიიდგან გამოდიოდნენ, ს. მივარდა გამგელებული, მოჰხადა გვირგვინი და გადაუგდო, შემდეგ ამოეღო რევოლვერი და, თუ იქ მყოფთ არ დაეჭირათ, ერთ-ერთს ინადირებდა. ი. ისევ ამოვიდა თიანეთს, ცოლს დაანება თავი და ისევ ს—თან დაიწყო ცხოვრება. ი—ს ცოლმა რა გაიგო ეს, ამოვიდა თიანეთს. ს. მიუვარდა ი-ს ცოლს ქვებითა და კეტით და დაიწყეს კრივი. ზოგი ი—ს ცოლს მიეშველა, ზოგი ს—ს და ამ რიგად შუა ბაზარში გაიმართა ლაზათიანი ბჟევა. ეხლა ისე დღე არ გავა, რომ ერთმანერთ შორის ჩხუბი არ მოჰხდეს. ალლაჰმა უწყის, ი. რომელს დარჩება. თუმცა ი. და ს. ორ-ორი დღე იყვნენ დაპატიმრებულნი, მაგრამ არ შედრკენ და ჯერ-ჯერობით ისევ ერთად განაგრძობენ ცხოვრებას. ამათი მიმხედავი, რა თქმა უნდა, სხვებიც მიჰბაძავენ ამათს მაგალითს. ყურადღების მიმქცევი არავინაა.

სოფ. ახმეტაში მცხოვრებ ი. ბ—მ დანით დასჭრა თავისი ცოლი. მიზეზი ის გახლდათ, რომ ქმარი უშლიდა ცუდ ყოფა-ქცევას და, როცა ვერა გააწყო-რა, განიზრახა მისი მოკვლა, მაგრამ, მისდა

საუბედუროდ, პირველად რომ დაეკრა, დანა გასტეხოდა და თავისი აზრი ვერ აესრულებინა. გამოძიება სწარმოებს.

სტრაჟნიკ ფ. ჩ.-ს მკვლელები დაიჭირეს.

დათიკო გოჯაშვილი.

## ქართულის ენის, მწიგნობრობისა და სკოლებ ს საქმე აჭარაში.

აჭარელების ღვიძლი ენა ქართული ენა არის. ოსმალურ ენას ნიადაგი ეკარგება, არაბული ანბანი-კი ჯერ კიდევ მაგრა განისვენებს ისლამის სავარძელზედ. არაბულ ანბანს აქ დიდი მფარველები ჰყავს, მთელი ქართველ-მაჰმადიანთა სასულიერო გამგეობა დღეს თავ-გადადებით იღწვის არაბულის ანბანის მფარველობისათვის. ქართველებში სასულიერო წოდებას დიდს ქომაგობას უწევენ ოსმალეთიდამ შემოპარებული ხაფიზები და სისტები (მღვთის-მეტყველნი) და ესენი უფრო აქეზებენ მოლებსა და ხოჯებს ქართული ენისა და მწიგნობრობის საწინააღმდეგოდ.

როგორც წინედ, ისე ეხლაც, ქართველ გვარის ხოჯები და მოლები აჭარასა, ლივანას, მაჰახელს, ქობულეთს და მთელს ბათუმის თემს (ოლქს) და ართვინის ოლქს, ჯამეების (სალოცავი) გვერდით ხშირად მედრესეებს (სკოლა) აარსებენ და ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებს ასწავლიან; მაგრამ სწავლის საქმე კი ერთობ უძნელდებათ, რადგანაც ქართველ-მაჰმადიანთ ბავშთათვის არაბულის ანბანის შესწავლა ერთობ ძნელია; მარტო ასოების შეთვისებასა და გაცნობას 5 წელიწადს ვერ ახერხებენ. თუ ახერხებენ რამეს, იმასაც ცემით და ცხლის წკეპლებით.

მთელს კუთხეში, ქართველთ მაჰმადიანთ შორის, არაბულს ანბანს ბევრი მფარველები ჰყავს. მაგრამ ამ ქომაგობით არაბულის ანბანის სასარგებლოდ დიდი მაინც არა კეთდება-რა, რადგან არაბული ანბანი რთულია. ქართულ ენას და ანბანს-კი აქ მფარველი არავინ არ ჰყავს, მის მომხრე არავინ არის, მოწინააღმდეგე კი მრავალია; მისი მდევნელია ქალი, კაცი, ხოჯა, მოლა, საფიხი, ყადი, მეჯლიში, თვით შარიათი და ჯამეში მოლის დ ხოჯის ლოცვა დ ქადაგებაც კი, მაგრამ საქმე მაინც არ უგვირგვინდებათ, სხვანაირად იმართება და ეწყობა: ქართული ენა ყველგან იკიდებს ფეხს, ყოველი ქართველი-მაჰმადიანი მას ადვილად ითვისებს. აქამდის აჭარლსა და სხვა კუთხის მაჰმადიანთ შორის ქართულის ანბანის მცოდნე სანთლით უნდა გეძებნათ; ეხლა კი თითქმის ყველა სოფელში გაჩენილან, ბევრს ალაგას შეუსწავლიათ თავიანთის შრომით ქართული ანბანი და წერა-კითხვა. ყველას უკვირს ქართულ ანბანის სიმარტივე. ვინც-კი ისწავლა და ან ნახა, ყველა იმას ამბობს, რომ ქართულ ანბანს ჩვენში ყველა შეისწავლისო, რადგანაც ქართული ანბანი მეტად ადვილი ყოფილა, არაბულის ანბანივით ტანჯვა არ უნდა. ასეთ თვით ნასწავლებით ქართველ-მაჰმადიანებთაგან სავსეა ბათომი და მთელ აჭარის სოფლები. ბათომში ბევრი იმათგანი ქართულ გაზეთებსა და წიგნებსაც კითხულობს.

ქართულ ანბანის შესწავლის საქმეს ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება კარგად ხედავს, იგინი ხედვენ ამ ანბანის სიადვილეს და მისგან გაოცებულნი ისე შთებიან, რომ აღარ იციან, რა ჰქმნან და თვითონაც კი სწავლობენ. ამ უკანასკნელ დროს, რამდენსამე ხოჯასა და მოლას შეუსწავლია ქართული ანბანი; სამ სოფელში, სადაც ჯამეს გვერდით ქართველ-მაჰმადიანთ მედრესეები არსებობს, ამ მცოდნე ხოჯებს ქართული ანბანიც შეუტანიათ და ბავშვებს ასწავლიან თურმე. ეს მცირე ახალი შემთხვევა არის და ასეთ მოლებს და ხოჯებს მრავალი მოწინააღმდეგეც კი ჰყავთ.

ქართულ ანბანის შესწავლის სიადვილისაგან ცხარეთ გაბრაზებულია ქართველთ-მაჰმადიანთ სასულიერო წოდება. ქართულ წიგნების ნახვის და კითხვისაგან იგინი დიდათ დარდობენ, ყველას იმას ეუბნებიან, რომ ქართული წიგნის სწავლება სჯულის წინააღმდეგია, ქართული წიგნის წაკითხვა სჯულის წინააღმდეგიაო, შარიათის წინააღმდეგიო. ძრიელ გაბრაზებულნი არიან ამაზედ, ძრიელ გაცეცხლებულნი. აჭარელნი უკვე გაეფინენ ბათუმის სამუშაო ქარხნებში, სავაჭროებში, რკინის გზის ნაწილში სამსახურით, სხვა და სხვა ოჯახებში მოსამსახურეთ, იქ თავიანთ ამხანაგ მართველებთაგან ადვილათ სწავლობენ ქართულ ანბანს, ეს ყველასთვის ცხადია.

სასულიერო წოდება ამის წინააღმდეგ ცხარედ იღწვის. იგინი ამბობენ, თუ ქართული ანბანის სწავლება ასე წავიდა და მოიფინაო, მაშინ აქეთ არაბული ანბანი დაეცემა და ეს დაცემა არც ისლამისათვის იქნება კარგიო. ამის საწინააღმდეგოდ და საბრძოლველად მათ ამხანაგებათ მოსდიან ნასწავლი ხოჯები-ლაზისტანები ოსმალეთიდამ და თვით არაბისტანიდამაც, რომელნიც ცხარედ იღწვიან ქართულის ენის წინააღმდეგ. დიდი სურვილი აქვსთ, რომ ქართული ენა სრულიად დაავიწყებინონ, როგორც ეს მოახერხეს შავშეთს, თორთომს, კოლას, კარსა დ სხვა ადგილებში, სადაც ქართველთა რიცხვს ნახევარ საქართველოს უდრის. ამ ადგილებში ძველად 13 ეპარქია იყო. იმათ იმედი აქვთ, რომ ქართულ ენას ისე ამოაგდებენ, როგორც ეს მოახერხეს ახალციხესა და მის მახლობელ სოფლებში.

ამისთვის ესენი ცხარედ იბრძვიან, ჯამეებში ქადაგებენ და დიდად შრომობენ. მაგრამ ამაოდ, რადგანაც ნაყოფი მათი უნიადაგოა და დროც სულ სხვაა, აჭარელი უკვე გამოდის ძველის ოცნებიდან, ადრინდელს სიბრმავეს ამათში ფესვი მოჰკვეთია, მუჰაჯირათ წასვლაზედ ლაპარაკი აღარ იციან, ყველა ცხოვრებას თვალს ავლებს, ისლამის ბრჭყალები ფარდაგს იქით შთება, მოლების და ხოჯების გარდამეტებულს სიცრუეს და ფანატიზმს ყველა კარგად გრძნობს. ამიტომ მათ ბევრმა აღრიკა ზურგი, ბევრმა ამარიდა პირი და ბოლოს ხოჯას უნდოს თვალით უმზერს.

აი, ეხლა არის დრო და საჭიროა, რომ ქართველმა საზოგადოებამ შეიგნოს თავისი ვალი, ამ მშვენიერ კუთხის და მის მცხოვრებთა სულიერად განკაცების საქმეს შეუდგეს და დაიწყოს მათვის შრომა. მათის ცხოვრებიდამ დასწერონ თხზულებანი, მოთხრობები, ლექსები, ისტორიული წერილები; შეიკრიბოს სახალხო ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები, გათათრების ამბები, რაც ამათში კიდევ არის აქა-იქ დაშთენილი. გამოცდილებით ვიტყვით, რომ ასეთის ოსტატობით ქართულ ანბანის გავრცელების საქმეს ფრიაბი შესხმება და მის შემდეგ იგი უფრო ადვილად გავრცელდება. ქართულ ანბანის პატრონად და მფარველად თვით ასეთი წიგნები გახდება; ამ წიგნებით აღორძინდება ქართველთ შორის. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შრომა ამ დიდს, ვრცელს კუთხეში კარგს შთაბეჭდილებას მოახდენს და რასაც აქეთ, სასწავლებლები ვერ აკეთებენ, ასეთი წიგნები შეასრულებს.

თუ რამდენად საჭიროა ასეთი შრომა და წიგნები ჩვენთვის, ამას გამოაჩენს შემდეგი:

ქართველ-მაჰმადიანთა დედა ენა ქართულია. ეს ენა არის მისი იარაღი, სიმღერა ქართულად იცის, ტირილიც, წყევლაც და ქებაც.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლოს დროს ქართველ-მაჰმადიანებში ძრიელ გავრცელებულია ქართული ლექსი. ბევრნი მელექსეობენ და მეშაირობენ. მელექსეობა დაუწყვიათ ზოგიერთ მოლებსაც. ერთმა მოლამ, დიასამიძემ, თურმე ქართული წერა-კითხვა არ იცის და ლექსებს კი სთხზავს და არაბულადა სწერს. მოლები და ხოჯები ადრე ქართულ სიმღერების წინააღმდეგნიც იყვნენ, ეხლა კი ვეღარას აწყობენ.

ლივანელების მოხერხებით, ქართული ენა იდგავს ფეხს თვით კლარჯეთის ქართველ-მაჰმადიანებშიაც, სადაც ქართველ-მაჰმადიანებმა ადრიდგანვე დაჰკარგეს ქართული ენა, ქარადიდელი და ლივანელთ მენავენი ქართულად ლაპარაკობენ ართვინთანაც ქართული ენა ისმის; თვით ართვინის გასომხებულ ქართველ-კათოლიკენიც კი ამათგან სწავლობენ ქართულ ენას. უნდა მოგახსენოთ პირნათლათ, რომ ქართული ენის აღორძინება აჭარელებში იქნება უძლიერესი იარაღი თვით მთავრობისთვისაც, რომ ამათშიც შეიტანონ მშვიდობიანი წესები და განათლება და ფანატიზმი დააუძლურონ. ყოველივე ეს მოხდება ქართულის ენის წყალობით. აჭარელი და ყველა ქართველ-მაჰმადიანი ქართულის ენის საშუალებით კაცად იქცევა. უამისოდ კი იგი ვერას შეიგნებს და ვერც არავის დაუახლოვდება. ასეა მათი შეხედულება და ხასიათი. ვისაც ამათი სიკეთე სურს, იმან ესრე ამათში ქართულის ენის გამეფება უნდა ინატროს.

ეს კარგად სცნა და განმარტა ბ-ნმა ვეიდენბაუმმა თავის მოგზაურობის აღწერაში. ცოტას კიდევ მოგახსენებთ:

ლივანაში, მაქარლის პირს, ზაგარიძეებში, სადაც ქართველი ბეგები და გლეხნი სცხოვრებენ, გახსნეს სკოლა და მასწავლებლათ სპარსელი თათარი გამოუგზავნეს, გორისა თუ ერევნის სემენარიელი. მასწავლებელმა ქართული ენა არ იცის და ბავშვებმა ქართულს გარდა სხვა ენა არ იციან. ამიტომ მასწავლებელი ქართველ ბავშვებს სპარსულად ელაპარაკება.

ქობულეთში არსებობს სკოლა, სადაც სწავლობენ ქართველ მაჰმადიანთა ბავშვები, მაღალ ქართულად მოლაპარაკენი. მათ სხვა ენა არ იციან, ამ ენის მეტი. ამათ ასწავლიან თათრულს და რუსულს, ორივეს შესწავლა კი ძრიელ უჭირდებათ. უქართულოდ შეგირდებსაც არა აქვსთ სწავლის ხალისი.

ქედაში (აჭარაში) არსებობს სკოლა, მასწავლებელიც კარგი ჰყავთ, მაგრამ ცნობილის წესების და მოლების მტრობის გამო ყოველივე უნაყოფოა.

ხულოში (ზედა აჭარა) არსებობს სკოლა, მაგრამ ცნობილი წესების გამო ყოველივე უნაყოფოდ შთება და ბავშვების რიცხვიც მცირეა. ამასაც დაკეტვა მოელის, თუ ქართულ ენას არ მიმართეს.

მარადიდში (ლივანა) არსებობდა ასეთივე სკოლა. მასწავლებელი უცხო კაცი იყო, ქართული ენის არ მცოდნე. ამით მან თავი შეაძულა ხალხს და უკანასკნელად სკოლა დაიკეტა და მოისპო საყოველთაოდ. ამ სკოლის მოწაფეები ვნახე და ერთ ქართველ-მაჰმადიანს, ვიღაც მგზავრის დახმარებით, ქართული ანბანი ცარცით დაეხაზნა კედელზედ, გვერდზედ თათრული ასოები მოეწერა და ისე ესწავლა ქართული ანბანი. ამ უკანასკნელ წლებს აქ კვალად დაარსეს სასწავლებელი; მასწავლებლად კაი ქართველიაო, მაგრამ წესი სწავლებისა ძველებურათვეა შეზღუდული, ე. ი. იგივე იქმნება და განმეორდება მომავალში, რაც წინეთ მოხდა ამ სკოლაში. აი ასეა აქეთ სკოლების საქმე დაყენებული! ქართველ-მაჰმადიანები სულ ვერ სარგებლობენ.

ფ. ჯ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! *).

თქვენს პატივცემულ გაზეთ «ივერიის» მე-173 ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია სოფ. ადზიუბჟის (კოდორის ნაწილი) მაქსიმოვის ქარხნების დუქნის შესახებ, ვიღაც «მუშა»-სი, რომელიც სრულებით, უსაფუძვლოდა ჰგოდებს და მე, ესე იგი მაქსიმოვის ხე-ტყის მხერხავ ქარხნების მმართველსა, მუშების მიმართ უსამართლობასა მწამებს; ამისათვის საჭიროა სიმართლის აღდგენა და იმედია, არ დამიჭერთ ალაგს თქვენ გაზეთის უმახლობელეს ნომერში ამ საპასუხო წერილისთვის.

«მუშა» ამბობს, ვითომ: «ისე მოაწყო (ე. ს. თურქიამ) საქმე ქარხნის მმართველთან, რომ ჩვენ (მუშები) ვმუშაობთ, ხოლო ფულის მიღების ორდერი ყძლევა მედუქნე თურქიას; ის იღებს ფულს კანტორაში ჩვენ მაგიერ, ნახარჯს დაიტოვებს და დანარჩენ ფულსაც აღარ გვაძლევს»...

ზე მოყვანილი ციტატა და დანარჩენიც «მუშას» წერილის შინაარსი გახლავსთ მტკნარი სიცრუე და არა ვითარ კრიტიკის ამტანი არ არის, რომელშიაც ქვემოთ დარწმუნდებით.

სოფ. ადზიუბჟაში ქარხნებთან ერთად არსებობს ეგრედ წოდებული «ქარხნების დუქანი», სადაც ისყიდება ბაკალეინი, გასტრონომიური, არის სამზარეულო (ხარჩევნიე) და სხვა საჭირო საქონელი. ეს სავაჭრო ნაწილი არის პირობის შეკვრით გადაცემული ბ-ნ ყვგენი სიმონის ძე თურქიაზე, რომელმაიც პირობის ძალით ქარხნების შორის, ყოველივე საჭირო საქონელი, როგორც მსახურებს, ისე მუშებსაც, უნდა მოგვყიდოს ქ. სოხუმის ნიხრის ფასადა. ყოველივე ახლად გამოცხადებულ ნიხრს ჩვენ ვღებულობთ სოხუმიდან და აქ ქარხნებში ყოველგან ნიხრის განცხადებას ვაკრავთ, რომლითაც ვუცხადებთ მსახურებსა და მუშებს, რომ მათ იცოდნენ, რისამე ყიდვის დროს ფასში აღარ მოსტყუვდნენ. ამას გარდა ქარხნების ადმინისტრაცია თავის ფერშლის და სტრაჟნიკის თანადასწრებით ხშირ-ხშირად დუქანს კანტროლს უწევება, როგორც სანიტარულ წეს-რიგის დაცვასა, აგრეთვე ყოველივე საქონელსა.

წინეთ ქართველების მუშებს ფულად ვაძლევდით ნამუშავარსა ყოველ შაბათობით. მაგრამ რამდენიმე თვე ამას წინეთ ჩვენ ექიმ ბ-ნ ბარსკის გზაში აქეთ ჩამოსვლის დროს ყაჩაღები დაეცნენ და უთხრეს: «მოიტა ფული, თორემ მოგკლავთო». ბ-ნი ექიმი მიხვდა, საქმე რაში იყო, მითა რომ ის იჯდა კანტორის ეტლში, სამი ცხენი გაბმულში, რომლითა სოხუმიდან ქარხნებშიც ფულსა ატარებენ მუშებისათვინა, და უპასუხა: «მე ქ. სოხუმის ოლქის ექიმი ვარ და არა მაქსიმოვის ქარხნებისათვინ ფულის დამტარებელი.» მიუხედავად ექიმის პასუხისა ყაჩაღებმა ბევრი ჩხრიკეს ეტლი, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ეტლში მხდომს ფულები აღარა ჰქონდა, ხუთი მანეთის მეტი—რასაკვირველია, ეს ხუთი მანეთი წაიღეს და ოქროს საათიც აალალეს და მოშორდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ, ჩვენ, რასაკვირველია მოვსპეთ, უმთავრესი ჩვენ კანტორასთან შეთანხმებით, ფულად ანგარიშის მიცემა მუშებსა და ორდერები შემოვიღეთ. თვეში ორჯერ ანუ რამდენადაც საჭიროება მოითხოვს. მუშებს, ვაძლევთ თავიანთ ნამუშევრის ანგარიშს ორდერითა, რომლითაც უნდა ფული მიიღონ ქ. სოხუმს ჩვენს კანტორაში. მოხსენებული ანგარიში ჰღება ქარხნების ადმინისტრაციისა და სტრაჟნიკის თანადასწრებითა.

ე. ს. თურქიის წარმომადგენელი მუშების ანგარიშის მიცემას ესწრება მენისიეთა სიათი. ვისი ორდერი დანახარჯზე მეტია, აქვე კასასთან მუშას ზედმეტს ფულად უბრუნებს, ასე რომ არასოდეს ჩვენ „მუშის ბედ-იღბალი" არ „ჩაგვიგდია ხელში"—თურქიასთვის. ე. თურქიის წარმომადგენელი მხოლოდ იმ მუშების ანგარიშს ესწრება, რომელნიც სანდო პირად აღარ არიან ცნობილნი. დანარჩენებს წიგნაკი ეხლაცა აქვთ და თვით მიაქვთ ორდერი ანგარიშის შესასწორებლად ანარა და ქ. სოხუმის კანტორაში ორდერის მიტანის შემდეგ ფულად აძლევენ დუქნის პატრონს თავის ხარჯის დასაფარავადა.

სწორედ იმ შაირის დამწერი ერთ იმ საეჭვო პირთაგანი იქმნება, რომელსაც მუდმივ ნისიათ ხარჯვის შემდეგ, მას კრედიტის გაგრძელებაში უარი გამოუცხადეს და წიგნაკიც ჩამოართვეს.

ეხლა ნათლად იხატება ის გარამოება რომ ჩემთან «ისე საქმის მოწყობა» აღარ არის საჭირო და მუშების ნამუშავარის ანგარიშის გაცემა ამ რიგად მოწყობის შემდეგ, არავითარი «ტირილ-გოდება» არც «ბევრი» და არც ცოტაოდენიც არ არის საჭირო. .

ამ საგანზედ გაგრძელება, ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვაა და «მუშა»-სი წერილის გასაფუჭებლად საკმარისია მარტო შემდეგი:

მე როცა «მუშა»-სი კორესპონდენცია თქვენ გაზეთში წავიკითხე,მაშინათვე ყველა ჩვენ მუშებსა დავეკითხე: მართალია თუ არა «მუშა»-სი მოხსენება. მათ ერთ ხმათა მიპასუხეს: «ჩვენ არავითარი უკმაყოფილება არავისზე გამოგვიცხადებია და არც არავისზე გვაქვს საჩივარი. ეს კორესპონდენცია უთუოდ რომელიმე მოხეტიალე სულის წამოროშილია და არა ჩვენგან შეთხუზულიაო...».

შემდეგ ამ ჩემი საპასუხო წერილისა, ბატონო რედაქტორო, გთხოვთ უმორჩილესად, მოსთხოვოდ დაუყოვნებლივ საბუთები «მუშა»-სა *) თავისი კორესპონდენციაზე და დაამტკიცოს თავისი «გოდება» საქმითა. თუ თავის თავი მტყუანათა სცნო, იმ შემთხვევაში თავისი სიტყვები უკან დაიბრუნოს თქვენივე გაზეთის საშუალებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეს გადავსცემ მართლ-მსაჯულთა ხელში.

*Съ почтеніемъ Завѣдыв. Кодорскими лѣсопильными заводами Н-овъ Максимова —Андреевъ.*

სოფ. ადზიუბჟა, კოდორის ნაწილი, სოხუმის ოლქ. 10 აგვისტოს, 1904 წ.

*) ამ წერილში დაცულია ავტორის მართლწერა. რედ.

*) რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერასა და საბუთების მოთხოვნას არ ჰკისრულობს. ამით ვათავებთ ყოველსავე სჯა-ბაასს. რედ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბის სახელზე, 16 აგვისტოს თარიღით: «16 აგვისტოს, შუადღის შემდეგ, მტერმა სიმაღლეებიდან, ვანბატაის სამხრეთად, ლიაოიანიდან 12 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთად, გააჩაღა ზარბაზნის სროლა ჩვენის პოზიციებისაკენ და საღამოს 7 საათამდე არ შეუწყვეტია. ჩვენის სამხრეთლაშქრის მარჯვენა ფრთაზე ჰმოქმედებდა ჩვენი ცხენოსანი რაზმი, რომელმაც 15 აგვისტოს შეაყენა მტერი, წამოსული ჩვენის მარჯვენა ფრთის შემოსავლელად. ცხენოსან რაზმს ცუდს ადგილას ჰქონდა საქმე, ჩავარდნილი იყო ტალახიანს გზებში, გაუვალს გაოლიანით დათესილ მინდვრებში, რომელიც კაცზე მაღალია. 16 აგვისტოსა შევნიშნეთ ვრცელი ბანაკი იაპონელებისა მდინარე შახეს ხეობაში, სიდანტიანთან, რკინის გზის დასავლეთად, და გადასვლ-გადმოსვლა მტრისა მდინარე შახეს ხეობიდან ჩრდილოეთად ბანმანტუნისაკენ, რკინის გზის ლიანდაგის დასავლეთად. იმ დღეებში დაღესტნის პოლკის ნახევარ ასეულმა ესაულის კონიევისამ გზაზე, ბენსიხესა და იანტაის მადნებს შუა, გაჰფანტა ხუნხუზთა ბრბო, ასე 150 კაცი, მოჰკლა იმათი ბელადი და 47 კაცი, ტყვედ წამოიყვანა ოთხი და ამ რიგად დააშვიდა ეს დაუწყნარებელი კუთხე».

დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრესს შტაბს, 17 აგვისტოს თარიღით: «16-დან 17 აგვისტოს, ღამე, იაპონელებმა ყველა ჩვენის პოზიციების წინააღმდეგ წამოაყენეს დიდძალი არტილერია და იერიში დაიწყეს ლიაოიანის წინ მდებარე პოზიციებისა. დილის ხუთი საათიდან ძლიერი საარტელიერო ბრძოლაა. 9 საათზე აღმოჩნდა, რომ იაპონელებმა მთელი ძალა მოიტანეს ჩვენის ჯარის შუბლზე შრაპნელისგან ზოგს ჩვენს ჯარს შესამჩნევი ზიანი მიეცა. მოჰკლეს აღმოსავლეთ-ციმბირის ბრიგადის მე-6 ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი პოკატილო. ჩვენის შუბლის წინააღმდეგ იაპონელნი მედგრად მოდიან წინ და ამ ჟამად, დილის 9 საათზე, ჩვენ მოწინავე რაზმებთან ძალიან დაახლოვდნენ».

18 აგვისტო.

**ლიაოიანი,** 17 აგვისტო. (რეიტერი). დღეს, დილის 5 საათზე, სამხრეთისაკენ ისმოდა ძლიერი სროლა; შემდეგ ასტყდა ზარბაზნის ქუხილი, რომელიც ეხლაც არ დაწყნარებულა. საღამოთი იაპონელთ მიაღწიეს იმ ადგილამდე, რომელიც მდებარეობს ხუთს მილზე რკინის გზიდგან დასავლეთად, მაგრამ გაჰფანტეს; ჰფიქრობენ, დღეს დილით დაიწყო უკვე დიდი ბრძოლა, რომელსაც ელოდნენო.

**რომი.** აქაურ სამხედრო საქმეთა მცოდნეთ ტოკიოდგან საიდუმლო ამბავი მიიღეს, რომ ყველა იერიში იაპონელებისა პორტ-არტურზე უკუ აქციეს დიდის ზარალითაო. იაპონელებს არც ერთი შესამჩნევი ფორტი არ აუღიათო. იმათი ზარალი ისე დიდია, რომ იაპონიის სართლები ვერა ჰბედავენ გამოცხადებასაო.

**კრონშტადტი.** 17 აგვისტოს ესკადრა დაბრუნდა ზღვიდან ბინაზე.

**ლიაოიანი.** 17 აგვისტოს, დილის 4 საათზე, დაიწყო ძლიერი ბრძოლა. გარშემო მდებარე სიმაღლეები ცეცხლის ფრქვევ მთებსა ჰგავს. იაპონელებმა იერიში მიიტანეს აღმოსავლეთისაკენ ლიაოიანიდან მდინარე თაიციხის გაყოლებაზე, მაგრამ უკუ-იქცნენ. ამ ჟამად ერთობ გაცხარებული ბრძოლაა ლიაოიანიდან სამხრეთ-დასავლეთად.

**ტოკიო.** ანპინგთან იაპონელებს 2 ათას კაცამდე დააკლდათ დაჭრილ-დახოცილი. რუსების ზარალი ძალიან დიდია.

**ვიგო.** რუსთა კრეისერი «დონი» ზღვაში გავიდა.

**ბერლინი.** არა გვგონია, თუ პრინცი ფრიდრიხ-ლეოპოლდი პრუსიელი მოახერხებს წასვლას შორეულ აღმოსავლეთს რუსთა უმთავრეს სადგომში დასასწრებლად.

**სტამბოლი.** (ვოლფი). ოსმალეთი სიფთხილის გზას დაადგა, რადგანაც ენკენისთვეში სომეხთა პროვინციებში სარევოლუციო მოძრაობას ელიან. ბრძანება გაიცა, ერგინჯანში მეოთხე კორპუსი საომარ ფეხზედ დადგეს.

**მუკდენი.** როგორც ხმა გავრცელდა, დილიდან დაწყებული ლიაოიანთან მედგარი ბრძოლაა. იაპონელნი ეცადნენ შემოევლოთ ჩვენის ფორტებისათვის, მაგრამ დააბრუნეს. ამბობენ, ვითომ მტერმა დაჰკარგა ათს ზარბაზანზე მეტიო. დაწვრილებით ჯერ არა იციან-რა.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა უმთავრესს შტაბს, 17 აგვისტოს თარიღით: 17 აგვისტოს იაპონელებს, დილის 5 საათიდგან საღამოს 9 საათამდე, იერიში მოჰქონდათ ლიაოიანთან მდებარე ჩვენს მოწინავე პოზიციებზედ, მდ. თაიძიხეს მარცხენა ნაპირზედ. არტილერიისა და ჰოფის სროლა ხან და ხან ძლიერ გვიპირებდა. საქმეს იაპონელთა უმთავრესი ძალა მომართული იყო ჩვენის შუაგულ პოზიციებისა და ფრთედის წინაალმდეგ. იაპონელთა აუარებელი იერიში ყველა ფრონტზედ (პირდაპირი ჯარი) უკუ-ვაქციეთ. ჩვენი ჯარიც იერიშს იერიშითვე იგერებდა და საქმე ხიშტებით ბრძოლამდე მივიდა. იაპონელთაგან აღებული რამდენიმე პოზიციები ბრძოლის დასრულებისას ჩვენ უკანვე დავიბრუნეთ. ჩვენი ბატარეიები მედგრად შეება მტრის არტილერიას. ნაშუადღევის ასე 4 საათზე აღმოვაჩინეთ, რომ იაპონელთა საკმაოდ ძლიერი ჯარი გვაწვებოდა და სცდილობდა ჩვენის მარჯვენა ფრთედის შემოვლას. ჩვენის ლაშქრის საზოგადო რეზერვის ბატალიონები წინ შეეხეხნენ იაპონელთ იმ ფრთაზედ, საითკენაც ისინი აწვებოდნენ. ცხარე ბრძოლის შემდეგ, იმათი წინ-სვლა შევაყენეთ და მტერს ვაიძულეთ უკან დაეწია. ეს ბრძოლა გაგრძელდა დაბნელებამდე და მხოლოდ საღამოს 9 საათზედ დასრულდა. ჯარი მხნედ არის. 13 აგვისტოს ოფიციალური ცნობა გამოვუცხადეთ ყველა ჯარს, რომელიც აღტაცებით შეეგება იმ ამბავს, რომ პორტ-არტურის გმირ მეციხოვნეთ უკუ აქციეს იაპონელთა ყველა იერიში. ამან უფრო გაამხნევა ჯარი, რომლის მისწრაფებაც მხოლოდ ის არის, რომ უკან არ ჩამორჩნენ თავიანთ არტურელ ამხანაგთ. ჩვენი ზარალი ცნობაში არ არის ჯერ მოყვანილი, მაგრამ ძლიერ დიდი კია და, თუ გავითვალისწინებთ დაჰრილთა შესახვევ ადგილებში წაყვანილთა რაოდენობის, საზოგადოდ ჩვენი ზარალი უნდა იყოს 3,000 კაცამდე. იაპონელთა ზარალიც ძლიერ დიდი უნდა იყოს».

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
13 აგვისტოს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $92^1/_8$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | $88^7/_4$ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 386 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $298^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 255 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $87^1/_2$ წვ. გაყ. |

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი.** ალექსანდრე სტეფანეს ძე. ილებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.
ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—$11^1/_2$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.
მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი,** ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.
სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.
მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11^1/_2$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:
გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11^1/_2$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.
ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.
კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.
ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში.
კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი,** ნიკოლოზ დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.
ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7^1/_2$—$8^1/_2$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

## განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების

სამთო ინჟენერ

ა. დ. მიხაილოვის და ამხ.

გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

სახქარო საზოგადო კრება

ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გალაეცეს სხვას. (3—6—3).

**თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა** ამით, აცხადებს, რომ 1 ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სექტემბერს. (2—უ—).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონტინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.




ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

კერძო საშუალო სასწავლებელი I რიგ. გუსტავ ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლობლად
მდელობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
იყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




ქარხანა

ზეთიანის სალებავებისა (კრასკებისა)

ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გაღესილს სადებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ხალმობს და უცნობს, რომ სადებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა სადებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გავგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც სადებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული სადებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—14)



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა
რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა
პეტერბურგში
დაარსებული 1860 წელს

ვსთხოვენ მყიდველთ: **რეზინის კალოშებისა** ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:




განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—36).

Дозволено цензурою Тифлисъ 18 августа 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семин pi